ელვა

თფილისი

ოთხშაბათი, 15 (28) მარტი 1906

ფელიეტონი პირველი.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

გაზეთი „ელვა“ წლიურად ღირს 6 მან., თვიურად 50 კაპ., ცალკე ნომერი 3 კაპ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 15 კაპ., უკანასკნელ გვერდზე 10 კაპ. რედაქციასთან მოლაპარაკება დაუბეჭდავ წერილების შესახებ შეიძლება თორმეტიდან მეორე საათამდე. დაუბეჭდავი წერილები რედაქციაში ინახება 10 დღეს.
რედაქცია იმყოფება ველიკოკნიაჟ. ქუჩ., № 17.

№ 3 ყოველ-დღიური გაზეთი. № 3

ეს ფოლი 12 მარტიდან გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ELVA“

„ელვა“ წლიურად ღირს თფილისში და თფილის გარეთაც 6 მან., 5 მარტიდან წლის ბოლომდინ 5 მან., თვიურად 50 კაპ., ხოლო ცალკე ნომერი მეგაზეთეებთან 3 კაპ.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ.
მეგზაქცია ლია დილის 9 საათიდან ნაუზაფდლეკის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-დე.
ხელის მოწერა მიიღება:

თ ფ ი ლ ი ს ი ს ი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაში, ქუჩუკაშვილთან.
ნაძალადევის უფასო სამკითხველოში მარიამ ელიავასთან. ვაგზალზე 1 კლასის ბუფეტში შალვა პანტურიშვილთან და თვით რედაქციაში—ველიკოკნიაჟეს. ქუჩაზე, № 17.

ქ უ თ ა ი ს ი ს ი

ჟურნალ-გაზეთების კანტორა „ბოლნიდაში“, აქვე იყიდება ნომრობითაც.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „ЕЛВА“.

პუპი ელიშუღის ასული და **მართა გრიგოლის ასული მუჯირებისა, ანტონ მაქსიმეს ძე მუჯირი, დარია ჩიგოგიძისა, მარიამ გორდელაძისა** და **ელენე ჯანაშვისა** ამით აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ამ თვის 21-ს სამშაბათს, მაკვანეთის ეკლესიაში დანაშნული ორმოცის წირვა და პანაშვიდი ჩვენი დაუვიწყარის პირველის შვილის, მეორეს მაზლის, ხოლო დანაბრუნების ძმის, სტუდენტის

ექვთიმე (სარიტონ) მაქსიმეს ძის მუჯირის

რომელიც მოკლულ იქნა ქ. ოდესაში 1905 წლის 6 დეკემბერს.

აგრარული მოძრაობის მოლოდინი.

გაზეთებულის მოახლოვებამ მთავრობას ისევ დაუფრთხო ძილი. მართალია ვიტყმ და დურნოვომ ქვეყანა გააყრაუს თოფ-ზარბაზნების გრგვინვით, დედაკაცების, ბავშვების და მოხუცებულების წვილ-კეკელით და ჭრიე-ობლების ოხვრა-გოდებით, მაგრამ თორმე ეს არ ქმარებული! ქვეყანის დასამშვიდებლათ“ თურმე ყოველივე ეს არ ყოფილა საკმარისი! და აი მთავრობა ახალ ზომებს, ახალ საშუალებებს იღონებს გლეხების მოძრაობის ჩასაქრობათ. ეტყობა, თავის თავს კარგათ ჯერ კიდევ ვერ გრძნობენ.

ამ დღეებში გაზეთებმა გადმოგვცეს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა დურნოვომ გენერალ-გუბერნატორებს და პოლიციელებს სიიდუმლო ცირკულიარები დაუგზავნა, რომლებშიაც იმათ უბრძანებს წინდაწინვე შეუდგენ მზადებას და თადარიგს გაუფუფთხონ ოსლოლოდნელ აგრარულ მოძრაობის ჩასაქრობათ. როგორც ხედავთ მთავრობა კარგათ გრძნობს, რომ მის მიერ დღემდის ხმარებული ზომებით მოძრაობა არ ჩაქრება და შეიძლება კიდევ უფრო გამწვავდეს.

მეორე მხრით არც მემამულეები გრძნობენ თავიანთ თავს საშიშდობოში. ისინიც ხედვენ, რომ გლეხები მათ არ აპატიებენ იმ შეწუხებას და ტანჯვა-წვალებას, რაც იმათ თავზე დაატყვა მემამულეების მოქმედებით. ბევრ ადგილას ისინი ვეღარ ბედავენ თავიანთ მამულებში დაბრუნებას და იქ მუშაობის დაწყებას. უფრველია იმათ ელანდებათ აკლებული და ოხრებულ გლეხების მეუქრით და შურისძიებით აღბეჭდილი სახეები.

თუ რა ყოფაში არიან გლეხები, თუ რაგორ გრძნობენ ისინი თავიანთ თავს მას შემდეგ, რაც მთავრობა ასე ზრუნავს იმათ ინტერესებისათვის. ამას ჩვენ სინამდვილე დაგვანახებს. საინტერესოა მხოლოდ ვიცოდეთ, თუ რა ზომებს ხმარობს მთავრობა დაზარალებულ მემამულეების სასარგებლოთ. აი ეს ზომებიე:

1) გლეხებს დააკისრა იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მემამულეებს აგრარული მოძრაობის დროს მოუვიდათ.

2) თავის მხრით მთავრობამ იმავე მემამულეებს ათი მილიონი მანეთი ჩაუდო, სესხის სახით, გატაყვებული გლეხების ზურგზე ანაგლეჯი ფულებიდან, რა თქმა უნდა და

3) ნება დართო, რათა მემამულეებმა იყოლიონ საკუთარი პოლიცია, როგორც ეს მას ეამსა იყო—ბატონყმობის დროს, რათა უარი გლეხები თავისივე საკუთარი ძალით დაიმორჩილონ, ვიდრე პოლიცია მიეშველებოდეთ.

აქ ყველაფერია მხედველობაში მიღებული: მოძრაობის ჩაქრობაც და მემამულეების ინტერესებიც. დავიწყებულია მხოლოდ ერთი სულ მცირე გარემოება, სახელდამ: თუ ვინ უნდა იზრუნოს განადგურებულ და ოხრებულ გლეხების ზარალის ანაზღაურება, იმათი დაკეცული სახლ-კარის აღდგენა! ასე გულმავიწყია მთავრობა: მას ყველაფერი ახსოვს, იგი არაფერს არ ივიწყებს, როცა საქმე მის საკუთარი არსებობის დაცვას და მდიდარ მემამულეების და ბურჟუა-კაპიტალისტების ინტერესებს შეეხება. იგი გულმავიწყია მხოლოდ მაშინ, როცა პროლეტარიატის და გაჭირვებული გლეხკაცობის ინტერესების დაცვა საჭირო. ეს ჩვენ კარგათ ვიცით. დღეკანდელი კლასობრივი სახელმწიფო და კლასობრივი მთავრობა მარტო მდიდრების და მყელფელების ინტერესების დასაცველათ არის მოვლინებული. პროლეტარიატის უდიდეს ნაწილს ეს ეშმარიტება უკვე შეგნებული აქვს, რაც შეეხება გლეხობას, მათი კლასობრივი ცნობიერების გაღვიძებისათვის და გაძლიერებისათვის ბევრი იმუშაოა თვით დღეკანდლამ მთავრობამ. ამიტომ მთავრობა არ ცდება, როცა აგრარულ მოძრაობის წინააღმდეგ გასალაშქრებლათ ემზადება. იგი აშკარათ აცხადებს, რომ აგრარული მოძრაობის ჩაქრობა ჯერ ფუჭი ოცნებაა.

ამწარათ, დღეკანდელი სიზუმე და მყუდროება ეზიზღება ამ სიჩუმეს, რომელიც ქარიშხალის წინ იცის. ჰაერი გაყოლნთილია საშიშარი ნიშნებით. ქვეყანას კიდევ დიდი განსაცდელი მოელის, და ამაში დამნაშავე სხვა არავინ არის გარდა ვიტე-ფუჩნოვის მთავრობისა.

ს

იდ უნდა ველოდოთ ხსნას? როგორ, რა გზით შეგვიძლია ავეცთინთ თავიდან განსაცდელთ? ეს შეუძლია აგრარული საკითხის გადაწყვეტა? აი კითხვები, რომელიც ამ ეამათ ყველას აინტერესებს. თითქმის ბურჟუაზიული პარტიებიე მეტათ დაინტერესებული არიან აგრარული საკითხით. და ეს ინტერესი ადვილი გასაგებია, რადგანაც გლეხების ღღეკანდელი მემამულეებისმიმართულია ყველაა მსხვილი მემამულეების წინააღმდეგ, რადგანაც გლეხები თხოულობენ მემამულეებისაგან მიწების უფასოთ ჩამორთმევას. მაგრამ აგრარული კითხვის გადაწყვეტა კიდევ უფრო აინტერესებს სოციალისტურ პარტიებს და განსაკუთრებით კი სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას.

პოლიტიკური ქაო

აი თურმე რაში ყოფილა სოციალდემოკრატის შეცოდება.

სოციალდემოკრატიას ხალხის თვითმპყრობელობა უნდა. ეს იმასა ნიშნავს, რომ ცხოვრების სადავეები პროლეტარიატისა და გლეხკაცობის ხელში უნდა დატრიალდეს. „ივერიას" არ მოსწონს ეს. რატომ? იმიტომ, რომ ხალხის თვითმპყრობელობა ბურჟუაზიის თვითმპყრობელობის უარყოფაა,— ეს კი ძალიან საზარალოა „ივერიისგან" შეყვარებულ ბურჟუაზიისთვის. აი თურმე რაში ყოფილა სეკრეტი.

რაღა საკვირველია ამის მერე, თუ ბურჟუაზიულ ქამელეონებს არ მოსწონებიათ სოციალდემოკრატიის რევოლიუციონური ტაქტიკა.

და როცა ეს „ივერია"-„ცნობის ფურცელ"-„პატარა გაზეთ"-„ძველი დროება" ენას აასისინებენ ხოლმე და ხალხის ინტერესებზე მოყვებიან ლათაობას, როცა ეს ბურჟუაზიის დამცველები დეკემბრის პირველ რიცხვებში ხალხთან ერთათ უკრავენ ტაშს და დეკემბრის ბოლო რიცხვებში კი ხვრელში ძვრებიან და ბურჟუაზიის თვითმპყრობელობისკენ გვერეკებიან, როცა ეს ბურჟუაზიის იდეოლოგები უარყოფენ მარქს-ენგელს-პლეხანოვის **მოძღვრებას** და იმავე დროს ცდილობენ მათი **სიტყვებით** გაამართლონ თავისი ბინძური დემაგოგია, როცა ყველა ამას თქვენი თვალით უყურებთ,— არ შეიძლება არ მოგაგონდეთ ქამელეონი, რომელიც დღე-მუდამ ფერს იცვლის და შეცდომაში შეყავს მაყურებელნი.

რა თქმა უნდა, კუდქიცინა ბურჟუაზიას ქამელეონობის მეტი აღარა დარჩენია რა, რის გამოც ის მუდამ ეცდება ხალხიც გააქამელეონოს, რომ საკუთარ ხელში დაატრიალოს პოლიტიკური სადავეები. ამიტომ არის, რომ ჩვენს ბურჟუაზიულ ვაჭბატონებს ასე ხელაღებით შეუთვისებიათ პოლიტიკური ქამელეონობა— შობილი მშობელს ვერ უღალატებს.

მაგრამ ეს მხოლოდ იმასა ნიშნავს, რომ პროლეტარიატი ფხიზლათ უნდა უყურებდეს ბრძოლის მოედანს, ის არ უნდა ტყუილდებოდეს გარეგანი ბჭყვრიალით და ხელაღებით უნდა ებრძოდეს, როგორც რეაქციის ბურჯებს, ისე ბურჟუაზიის ქამელეონებს.

ამას ამბობს პროლეტარიატის ინტერესები.

ი. ბესოშვილი

ახალი ამბები

✦ როგორც გადმოგვცეს, **თფილისის ს. დ. მუშათა რაიონულ ორგანიზაციებმა**, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის შესახებ, კითხვა ცეხის ორგანიზაციებშიაც გადაიტანეს. პირველი რაიონის ცეხებმა უკვე გამოთქვეს თავიანთი აზრი: მათმა ათის თავებმა 181 ხმით, წინააღმდეგ 29-სა დაადგინეს მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებშიო.

✦ რუსისა და მეზობელ ქუჩებში მცხოვრებნი, სადაც ამას წინათ კაზაკი ტკაჩოვი მოჰკლეს, **დიდ შიშში არიან**, რადგან ხმებია, რომ კაზაკები ძლიერ აღშფოთებულნი არიან ტკაჩოვის მ[...]ლით და ამ ადგილებზე დ[...]მას ა[...]ებენო. მცხოვრებთაგან ზოგი ქალაქის სხვა ნაწილებში გადადიან.

✦ **სათათბიროს არჩევნებისთვის** თფილისის მაზრა შემდეგ უბნებათ დაიყო: დიღმისა (შიგ 14 სოფელი), ელისაბედისა (26 სოფ.), მანგლისისა (17 სოფ.), ბელიკლიურჩისა (10 სოფ.), ალბულაღისა (16 ს.), ენაგეთისა (11 სოფ.), ელისავეტპელისა (1 ს.), კოდისა (15 სოფ.), ალექსანდერდორფისა (1 სოფ.), ავჭალისა (6 სოფ.), ლორიასი (5 სოფ.), მარტყოფისა (5 სოფ.), ხაშმისა (4 სოფ.), გომბორისა (4 სოფ.), მარიენფელდისა (3 სოფ.), სართიჭალისა (4 სოფ.), პატარძეულისა (4 სოფ.), საგარეჯოსი (3 სოფ.), თოხლეურისა (6 სოფ.), ყარაიაზისა (10 სოფ.), ახალმიხაილოვისა (4 ს.).

✦ ქალაქის საბჭომ განიხილა საკითხი სახელოსნო სასწავლებელში **დედა-ენაზე სწავლის აღდგენის შესახებ.** 1880 წლის დადგენილებით ამ სასწავლებელში სწავლება რუსულ, ქართულ და სომხურ ენაზე უნდა სწარმოებდეს და თვითეულ ეროვნების მოსწავლეთათვის ცალკე განყოფილებები. მაგრამ შემდეგ ამ წლის კანონი გააუქმეს და მშობლიურ ენაზე სწავლება სხვა უცხო ენაზე სწავლებით შესცვალეს. საბჭომ დაადგინა აღძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რომ სახელოსნო სკოლაში სწავლება მშობლიურ ენაზე აღდგენილ იქმნეს.

✦ თფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა სტატისტიკურ განყოფილების გამგის მიერ შედგენილი სია ქალაქის გამგეობის იმ მოსამსახურეთა, რომელთაც უფლება ეძლევათ **სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში** მონაწილეობის მიღებისა და დაადგინა: 1) სტატისტიკურ განყოფილების უფროსის მიერ შედგენილ სიიდან გამორიცხონ ის პირნი, რომელნიც პასუხის გებაში ყოფილან მიცემულნი და სასამართლოს არ გაუმართლებია; 2) დაევალოს სტატისტიკურ ბიუროს გამგეს შეავსოს მოსამსახურეთა სია იმ პირთა სახელის და გვარის ჩამატებით, რომელთაც ქალაქიდან ჯამაგირი ჰქონიათ არა ნაკლებ ერთის წლისა, თუ ისინი თფილისში ცხოვრობენ აგრეთვე არა ნაკლებ ერთის წლისა; 3) ობოლთა სასამართლოს დაწესებულებაში მოსამსახურენი ჩაწერილ იქნენ ამომრჩეველთა სიაში და 4) საარჩევნო სიაშივე შეტანილ იქნენ ქალაქის წყლის-საყვან განყოფილებაში მოსამსახურენიც.

✦ კვირას, 12 მარტს ავლაბრის მცხოვრებთა 100-მდე წარმომადგენელთ კრება ჰქონდათ. კრებაზე სხვათა შორის 10 კაცისაგან **საარჩევნო კომიტეტი** ამოირჩიეს. ეს კომიტეტი არჩევნების საქმეს გაუძღვება. არჩევნები ეროვნებისა და სოციალურ კლასების-დაგვარათ მოხდება. კომიტეტს უმთავრესათ დაევალება, პირველათ ზომები მიიღოს რომ არჩევნებში ყველამ მიიღოს მონაწილეობა, მეორეთ, რომ შეადგინოს ამომრჩეველთა საკანდიდატო სია და ამოირჩიოს იმ კომისიის წევრები, რომლებიც ქალაქის გამგეობასთან ერთად განაგებენ თფილისში სახელმწიფო სათათბიროს არჩევის საქმეს.

✦ ორშაბათს, 13 მარტს, ყარსის რკინის გზაზე ალავერდში ადგილობრივმა დარაჯებმა შეიპყრეს 17—18 წლის უცნობი ყმაწვილი, რომელსაც ხურჯინში გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა **დინამიტი.** დაჭერილს დარაჯებმა ბევრი სცემეს, მერე ბაწრით შეკრეს და შულავერის ციხეში გაგზავნეს. დაჭერილს განუცხადებია, რომ ხურჯინი მისთვის ვიღაც ორ უცნობ კაცს მიუბარებია და თან დაუვალებია, რომ ხურჯინისთვის თვალყური ედევნებია არავის მოეპარა.

✦ ის ამბავი, თითქოს საქართველოს ეგზარხოსი ნიკოლოზი სააღდგომოთ თფილისში დაბრუნებას აპირებდეს, როგორც სარწმუნო წყაროდან გავიგეთ, სიმართლეს მოკლებულია.

✦ **განჯიდან** (მშაკ) ატყობინებენ: რკინის გზის სადგურისკენ მიმავალ გზაზე 7 შეიარაღებული თათარი თავს დაესხა ერთ საპიორის სალდათს, წაართვეს თოფი და სცემეს.—აქ ამბავი მოვიდა, რომ ს. ჩარდახლუში და მის მიდამოებში იარაღს ართმევენ ხალხს. სომხებს მიუციათ მთავრობისთვის 200 თოფი, თათრებს 300-მდე. ჯერ ჩარდახლუელებს არ უნდოდათ იარაღის მიცემა, მაგრამ როცა ჯარმა ორჯერ ზარბაზანი ესროლა სოფელს, გლეხებმა ჩააბარეს იარაღი და მათივე გაკეთებული რამდენიმე ზარბაზანი.

✦ პოლიციის მე-10 ნაწილში, 14 მარტს, ოთხ უცნობ კაცს და პოლიციელებს ჩხუბი მოუვიდათ. პოლიციელმა განაცხადა, თოფისა და რევოლვერის წართმევა მოინდომესო. შეიპყრეს ოთხივენი. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ოთხივე **სამხედრო სამართალში მისცეს**.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამხედრო უფროსის განკარგულებით, ქუთაისის საპყრობილიდან 12 მარტს **გაანთავისუფლეს** რკინის გზის მოსამსახურენი: ილია გვენცაძე, ანტონ ნიკოლსკი, გიორგი ვაშაკიძე, მიხეილ სერგაჩოვი, ნესტორ მერკვილაძე, მიხეილ ლორთქიფანიძე, მიხეილ კვალიშვილი, თევდორე რიმკოვსკი, სიმონ კინწურიშვილი, ბესარიონ ქვანია, კონსტანტინე ხორინი, ივანე სტასი, გერასიმე სვანაძე, ილია შუბლაძე, იპოლიტე ცაგარეიშვილი, კონსტანტინე ლაბაური, ერასტი თურზელაძე, ივანე კარპავა, ისიდორე ხურციძე, სპირიდონ დოლიძე, გაბრიელ მაჩეიშვილი, დავით შენგელია, თევდორე შენგელია და ალექსანდრე ვოლნიხი.

✦ 9 მარტს გორის საპყრობილიდან **გაანთავისუფლეს** რკინის გზის ლიანდაგის მოსამსახურენი: ვ. ნათაძე, ვ. ვასილიძე და ანტონ გოგორიშვილი. ჰგზავნიან: სტუდენტს დავით პარკაძეს—ტობოლის გუბერნიაში, მღვდელს ალექსი კასრაძეს და დავით ჯავახიშვილს—არხანგელსკის გუბერნიაში, მღვდელს მიხ. ინასარიძეს—ვოლოგდის გუბერნიაში.

✦ **ბასილეთში** (ჩოხატაურის საბოქაულოში) როგორც გადმოგვცეს კრ ლოვის განკარგულებით **გადაუწვავთ ექვსი სახლი**.

✦ პეტერბურგიდან „ცნ. ფ."-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ დურნოვომ განკარგულება მოახდინა – **პოლიციამ თვალყური ადევნოს** იაპონიიდან დაბრუნებულ ტყვეთ-ნამყოფ სალდათებს.

✦ იმავე გაზეთს იქიდანვე ატყობინებენ: მიღებულია ცნობები, რომ ზოგან გაფიცვა იმართება **შმიდტის დახვრეტის წინააღმდეგ** პროტესტის გამოსაცხადებლათო.

✦ თფილისში დაბრუნდა პოლიციის უფროსი **შირინკინი.**

✦ 11 მარტს თავდებობით გაანთავისუფლეს ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის ბიუროს ყოფილი თავმჯდომარე ბ-ნი შური. ციხეში სხედან ეხლა სამი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე. საყვარელიძე, გერმანოვიჩი და კვარკველაძე, რომელთაც თავდებს ქვეშაც არ უშვებენ. ნოემბრის გაფიცვაში ყველა მოხელე იღებდა მონაწილეობას, მაგრამ ყველას ერთნაირათ არ უწევს პასუხის მგებლობა. დაწესებულებების უფროსებს მიანიჭეს ფართო უფლება ხელქვეითთა სამართალში მიცემის შესახებ და ბევრმა მათგანმაც ზედმეტი „ერ-გულება" გამოიჩინა. ბაქოში დაითხოვეს, და დაატუსაღეს 39 კაცი, განჯაში მხოლოდ სამი, ქუთაისშიაც სამი, ერივანში კი სადაც სულ 15 მოხელეა, 9 დაითხოვეს, ამათგან სამი დატუსაღებულია. ბათუმის კანტორაში, სადაც ერივანზე ოთხჯერ მეტი მოხელეა, არც ერთი არ დაუსჯიათ. ერთი სიტყვით ყველაფერი დამოკიდებული იყო უფროსის შეხედულებაზე. „ტფ. ლის.".

✦ 13 მარტს თფილისში ვაგზლის ქუჩაზე ნაშუადღევის 4 საათზე ვიღაც უცნობმა ქირმა თავისივე ხელით მუცელში დანა ჩაიცა და სასიკვდილოთ თავი დაიჭრა. დაჭრილი მაშინვე მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, მიზეზი ასეთი საქციელისა დანამდვილებით ვერავინ გაიგო.

✦ დღეს, 15 მარტს, თფილისის სამოსამართლო პალატაში განიხილავენ საქმეს ბბ-ნთ კარგარის და ქანანიანცის მიერ **ქალაქის მიწის მითვისების შესახებ**. ამათ მიერ მითვისებული ქალაქის მიწა 20 დესიატინს უდრის და 10 ათას მანეთამდეა დაფასებული.

✦ სისხლის სამართლის საქმეების განსახილველათ ამ დღეებში თფილისის საოლქო **სასამართლოს სესსია** მიდის ქალ. ახალციხეში. იქიდან სასამართლოს სესსია ქ. ახალ-ქალაქში გადავა.

✦ 13 მარტს, გოლოვინის პროსპექტზე, რამდენიმე კაცმა დონერ—დეიტცის **მაღაზია გატეხეს.** წაუღიათ 1500 მანეთი ფული და ათას მანეთამდე ღირებული საქონელი.

✦ ჩვენმა რედაქციამ მიიღო **ახალი წიგნი** „სხივი"-ს ამხანაგობის გამოცემა: დამფუძნებელი კრება და საარჩევნო „უფლება", ს. გორგასლიძისა, ფ 10 კ.

✦ 13 მარტს თფილისის საოლქო სასამართლომ შემდეგი საქმე განიხილა: 1905 წლის 29 მაისს თფილისის მცხოვრებ ნ. ხანდუკელიშვილისას ვიღაც უცნობები თავს დაესხნენ და 1000 მანეთი და სხვადასხვა ძვირფასი ნივთები წაიღეს. ხანდუკელისას გაძარცვა დაუბრალებია ვიღაც გველესიანისა და ავალიანისათვის. სასამართლომ ავალიანი გაამართლა.

კავკასია.

ახალ-სენაკი (სამეგრელო). მკითხველებს უკვე ეხსომებათ, რომ არც ახალ-სენაკი გადურჩა წვა-დაგვას და განადგურებას. იანვრის დამლევს აქ დაიწვა სულ 42 დუქანი და ერთი სასტუმრო. ცეცხლს და მახვილს თან დაჰყვა ძარცვა გლეჯა, დაპატიმრება, ქალების გაუპატიურება, აწიოკება, დარბევა და სხვა.

ამ ბოლო დროს ხმა გავრცელდა, რომ გენერალ ალიხანოვი ქუთაისიდან სამეგრელოში მოემგზავრებაო. ხალხს ეგონა, რომ გენ. ალიხანოვი შეიტყობს ჩვენ მდგომარეობას და შეიძლება ცოტა რამ შეღავათი მოგვეცესო. 9 მარტს საღამოს ალიხანოვი ეწვია სენაკს. ალიხანოვს თან ახლდა 100-მდე სალდათები და აფიცრობა. ხალხი დილიდანვე შეკრებილიყო ალიხანოვის დასახვედრათ—პურ-მარილით. ალიხანოვმა ხალხს, გამოუცხადა, რომ დღეს დაღალული ვარ და ხვალისთვის შეიკრიბენითო, ხალხი დაიფანტა, ხოლო გენერალი დაბინავდა თავ. დიმ. მხეიძის სახლში. გათენდა ათი მარტი. დილის 9 საათზე შეკრებილი საზოგადოება გამოეცხადა ალიხანოვს, რომელმაც მიმართა საზოგადოებას შემდეგი სიტყვებით: „აასრულეთ თუ არა ჩემი მოთხოვნილებანიო"? ერთმა უპასუხა, რაც შესაძლო იყო, ბატონო, ყველაფერი სისრულეში მოვიყვანეთო. ამაზე გაჯავრდა ალიხანოვი და მისი სიტყვები უმნიშვნელოთ დატოვა და ასე უპასუხა: „გაძლევთ წინადადებას, რომ ძველი „ნედოიმკები" უსათუოთ უნდა იქნას შემოტანილი, რომელიც 18,000 მანეთს შეადგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში ზარბაზნებით გიპასუხებენო; ალიხანოვმა ამ განკარგულების სისრულეში მოსაყვანათ ხალხს მისცა სამი დღის ვადა.

საიდან შემოიტანოს გაძვალტყავებულმა ხალხმა ეს ამოდენა ფულები? ხსნა არ არის. საზოგადოებამ შეპირდა ალიხანოვს ხაზინის დაკმაყოფილება.

ცის სარტყელი.

ჭიათურა. „ბედაურნი დაიხოცენ ვირებსა დარჩათ მოედანი"-ო, სწორეთ ასე ითქმის ადგილობრივ მკვდრეთით ამდგარ პოლიციაზედაც.

9 მარტს, ადგილობრივმა ბოქაულებმა მოიწვიეს ორი საზოგადოება: პერევისისა და რგანისა, რომლიდანაც გამოცხადდა მხოლოდ 150 კაცამდის; გამოცხადებულთა უმრავლესობას შეადგენდა ძალზე მოხუცნი, რომელთაც არც წერა იციან, არც კითხვა, და არც ის იციან—სახელმწიფო სათათბირო სასმელია თუ საჭმელი. შეკრებილებს, ბოქაულები „შამაშვილურათ" ურჩევდენ აერჩიათ ყოველ ათ გლეხზე თითო კაცი, ეს არჩეულები თავის მხრივ, მთელი სოფლიდან აირჩევენ ორ-ორ კაცს, რომელნიც სამაზრო კრებაზე აგრეთვე აარჩევენ კაცებს, ვინც უკანასკნელნი სათათბიროში წავლენ და თქვენს ჭირ-ვარამზე „ითათბირებენ და ითათბირებენო". უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნენ გლეხები: უარი ეთქვათ იმასაც ეშინოდათ, არ გა-

ფელეტონი

ძველი და ახალი რევოლიუცია

კ. კაუცკისა

(თარგმანი)

(დასასრული. იხ. „ელვა" № 2).

საფრანგეთში გლეხობამ ხელი შეუწყო როგორც რევოლიუციის დამარცხებას 1848 წ., ისე მის გამარჯვებას 1789 წ. და შემდეგ წლებში.

თუმცა საფრანგეთის დიდ რევოლიუციაში გლეხობა სულ სხვა როლს თამაშობდა, ვინემ ინგლისში.

საფრანგეთში თავად-აზნაურთა და საეკლესიო მიწათმფლობელობას ჯერ კიდევ სავსებით ფეოდალური ხასიათი ჰქონდა. იმისი წარმომადგენლები გლეხთა ექსპლოატაციით ცხოვრობდენ, რომლებიც მათ საშინლათ გაალატაკეს. ამავე დროს თანდათან უფრო ძლიერდებოდა თავად-აზნაურობა და სამღვდელოება, გლეხობას ეს მაინც არაფერს ეხმარებოდა.

რევოლიუციის ერთ-ერთ მთავარ მიზანს ამ სახის მიწათმფლობელობის მოსპობა შეადგენდა. ეს იყო მიზეზი, რომ ასეთ მხურვალე მონაწილეობას იღებდენ საფრანგეთის გლეხები რევოლიუციაში.

ინგლისში ძველი ფეოდალური თავად-აზნაურობა მოისპო თეთრსა და წითელ ვარდის ომის დროს და მისი ადგილი დაიჭირა ახლად გამოცხვარმა თავად-აზნაურობამ, რომელმაც კარგათ შეითვისა კაპიტალისტური მოთხოვნილებანი.

რეფორმაციამ ამ თავად-აზნაურობას გადასცა აგრეთვე საეკლესიო მამულებიც. მე-17 საუკუნეში ძველი ფეოდალური მეურნეობა სრულებით გაჰქრა. იქ, სადაც ჯერ კიდევ გლეხები ცხოვრობდენ, ისინი სრულიად თავისუფალი მფლობელნი იყვნენ თავიანთ მიწა-ადგილისა. მსხვილი მემამულენი ყმების საშუალებით კი არ ეწეოდენ მეურნეობას, არამედ კაპიტალისტურათ. მათ ჰყავდათ მოიჯარადრენი დაქირავებული მუშებით. მაგრამ თავდაპირველათ თვით მსხვილ მემამულე თავად-აზნაურთა ძლიერ განსაზღვრული ნაწილი დაწინაურდა მხოლოდ უმაღლეს წოდებამდის; მთელი წლის განმავლობაში თავიანთ მამულ-დედულეთში ცხოვრობდენ და მხურვალე მონაწილეობას იღებენ სათემო თვითმართველობაში და სამართლის განჩინებაში.

ამიტომ იყო, რომ ინგლისის რევოლიუციამ ვერ შესძლო საერთო ძირითადი ცვლილება მოეხდინა მიწათმფლობელობაში. მართალია მას თან მოჰყვა აურებელი მამულთა კონფისკაციები, მაგრამ ეს იყო **პოლიტიკური** ხასიათის ზომა და არა **სოციალისტურის**. რანაირი ხარბი თვალებით არ უნდა ეცქირათ მსხვილ მიწათმფლობელობისთვის გლეხებსაც და მოიჯარადრეთაც, არავითარი აუცილებლობა არ მოითხოვდა მათთვის მსხვილი მამულების დაქუცმაცებას; წინააღმდეგ, შიში, რომელსაც მათ უნერგავდა მრავალრიცხოვანი სოფლის მოქირავე პროლეტარიატი, არ ანებებდა მათ მიემართათ ასეთ ზომისათვის, რომელიც საბოლოოთ ისევ მათთვის იქნებოდა საზარალო. ინგლისის მსხვილი მიწათმფლობელობა არა თუ გადურჩა რევოლიუციას, იგი შეუთანხმდა ბურჟუაზიას, რომელიც მასავით მოექანცა წვრილი ბურჟუაზიის ბატონობას, და მით მან იმ ზომამდის განამტკიცა თავისი ბატონობა, რომ დღეს არ მოიპოვება ისეთი მემამულე არისტოკრატია, არც ოსტელბიაში და ვენგრიაში, რომელიც ისე მტკიცეთ და ძლიერათ გრძნობდეს თავს, როგორც ინგლისისა.

სულ სხვას ვხედავთ ჩვენ რუსეთში, სადაც გლეხობა, რაც არ უნდა იყოს ყველა მისი განსხვავებული თვისებები საერთოდ სრულიად ისეთივე პირობებშია ჩაყენებული, როგორც ეს საფრანგეთში რევოლიუციამდე იყო. აქაც ორივე რევოლიუცია თავისი შედეგებით იმდენათ დამსგავსებიან ერთმანეთს, რამდენათაც დღეს რუსეთის სახელმწიფოში მოსალოდნელია მსხვილი მიწათმფლობელობის მოსპობა და მიწების გლეხთა ხელში გადასვლა. რევოლიუციისაგან წამოყენებულ მოთხოვნილებებს უნდა ანგარიში გაუწიოს როგორც აბსოლიუტიზმმა, ისე მსხვილმა მიწათმფლობელობამ.

შეუძლებელია წინდაწინ ითქვას, თუ როგორი იქნება ფორმები სამეურნეო წარმოებისა, რომელიც განვითარდება ახალ საფუძველზე, მაგრამ ერთი კი ეჭვს გარეშეა: რუსეთის და საფრანგეთის რევოლიუციები კიდევ იმით დაემზგავსებიან ერთმანეთს, რომ მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობა გასჭედავს ისეთ რგოლს, რომელიც განუყრელათ გადააბამს გლეხს რევოლიუციაზე. ჩვენ კიდევ არ ვიცით, რა გვარი რასობრივი (расовыя) განხეთქილება იმალება ახალი რევოლიუციის გულში; შესაძლებელია საქმე იქამდის მივიდეს, რომ თვით გლეხებსა და ქალაქის პროლეტარიატს შორის ატყდეს შფოთი, მაგრამ ისინი ხელებითაც და კბილებითაც ეცდებიან დაიცონ რევოლიუცია, რომ, თუ გინდ უცხოეთის ჩარევით, აღარ აღადგინონ ძველი დამყაყებული თავად-აზნაურული რეჟიმი. ამ ნაირათ ჩვენ გვაქვს მესამე ფაქტორი, რომელიც სახეში უნდა იქონიო, როცა ერთმანეთს ადარებ სამ რევოლიუციას მათგან შექმნილ **გარეგანი ურთიერთობის** მხრით.

მე 17 საუკუნეში საერთაშორისო მიმოსვლა იმდენათ განსაზღვრული იყო, რომ ინგლისის რევოლიუცია მხოლოდ ადგილობრივ მოვლენათ დარჩა, რომელსაც არავითარი გამოხმაურება დანარჩენ ევროპაში არ გამოუწვევია. სოფლის თავად-აზნაურობამ საკმარისი ძალა გამოიჩინა, რომ წინააღმდეგობა გაეწია, შექმნა რევოლიუციონური სამხედრო ბატონობა და, დაბოლოს, ძლევამოსილ გენერალ კრომველის დიქტატურა, რასაც შედეგათ მოჰყვა არა გარეშე ომები, არამედ ხანგრძლივი მოქალაქობრივი ომი.

მე 18-საუკუნის დასასრულს მიმოსვლა ევროპის სახელმწიფოებს შორის უფრო განვითარებული იყო, და საფრანგეთის რევოლიუციამაც მთელი ევროპა შეანძრია. მიუხედავათ ამისა, მისმა განმანთავისუფლებელმა მისწრაფებებმა მხოლოდ სუსტი გამოძახილი გამოიწვიეს. ევროპის შენძრევა შედეგი იყო ომისა, რომელიც რესპუბლიკას გამოუცხადეს შეერთებულ სახელმწიფოების მონარქებმა და რომლის გამოისობით საფრანგეთში გამეფდა სამხედრო რეჟიმი და აღორძინდა ძლევამოსილ გენერალ ნაპოლეონის იმპერია.

ეხლა, მე-20 საუკუნის დასაწყისში, ერთაშორის დამოკიდებულება იმდენათ მჭიდრო შეიქნა, რომ რუსეთის რევოლიუციის პირველმავე ნაბიჯმა გაამხნევა მთელი ქვეყნის პროლეტარიატი და ააჩქარა კლასობრივი ბრძოლის მაჯის ცემა, ხოლო მეზობელი ავსტრიის იმპერია კი, შეიძლება ითქვას, შიგ ძირში შეარყია.

წინააღმდეგ, ევროპიელ სახელმწიფოთა შეერთებაზე რევოლიუციის წინააღმდეგ, როგორც ეს 1793 წელში იყო, ეხლა ლაპარაკიც მეტია. დღეს მოსალოდნელია არა შეერთება რევოლიუციის წინააღმდეგ; რუსეთის საქმეებში ჩარევა შესაძლებელია მოენდოს მხოლოდ **ერთ** სახელმწიფოს: გერმანიის იმპერიას. მაგრამ გერმანიის მთავრობაც კარგათ ჩაფიქრდება, სანამ ომს დაიწყებდეს, რომელსაც დინასტიური ხასიათი უფრო ექნება, ვიდრე ხალხური, რომელიც აგრეთვე სახელს გაუტეხს მას, გამოიწვევს მის წინააღმდეგ ისეთივე ზიზღს, როგორიც იაპონიასთან ომმა გამოიწვია რუსეთში, და შეიძლება ამას გერმანიის მთავრობისთვის ისეთივე შედეგები მოჰყვეს, როგორიც რუსეთ-იაპონიის ომს მოჰყვა რუსეთის მთავრობისათვის. როგორც უნდა იყოს, ჩვენ არას შემთხვევაში არ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ რუსეთის რევოლიუციის შემდეგ დადგება მთელი ერა განუწყვეტელ მსოფლიო ომებისა, მზგავსათ იმ ომებისა, რომელიც თან დაჰყვა საფრანგეთის რევოლიუციას, და ამიტომ ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს, რომ რევოლიუცია რუსეთში გათავდება სამხედრო დიქტატურით ანა და რაღაც სამღვთო კავშირით, როგორც ეს საფრანგეთის რევოლიუციის დროს იყო. უფრო ადრე უნდა ვიფიქროთ, რომ რუსეთის რევოლიუციას თან მოჰყვება ერა ევროპის რევოლიუციათა, რომელიც დამთავრდება პროლეტარიატის დიქტატურით, სოციალიზმისკენ გზის გაკაფვით.

ხ. კ.

...და არ იღოდენ, რომელ ხაფანგისკენ გზავ-... ხალხის აირჩიეს უმრავლესობა მოხუცე-... დღესაც დღესაც არ იციან რისთვის არჩეულნი, ანუ რა უნდა გააკეთონ მათმა ... კაცებმა. ერთი ვიკითხოთ: ნუ თუ ... საზოგადოებაში 150 კაცის მეტი არ იყო, ... ამომრჩევლის უფლება ქონდათ?! ... იყო, ნუ თუ მხოლოდ 150 მოხუცს ... 2000 კაცის მაგიერ აერჩიათ?!

8 მარტს, ღამის 4 საათზე, ს. ბერევისში ... ორი მუშა—მეურმეები. ერთი ამათგანი ... დაიწვა, რომლის მარტო ძვლები ნახეს, ... მეორე ცოცხალ-მკვდარი ჩამოიყვანეს ... მოფოფოში. დაიწვა აგრეთვე ხარები ერთი ... საქმე ასე ყოფილა: 8 მარტს ჩამო-... სადამოს ს. მანდაეთიდან ორი მეურმე, ... მუდამაძეები. ისინი დაბინავებულან ერთ ...; ქვედა სართულში დაუბამთ ხარები, ... ჩალა ზედა სართულში დაუწყვიათ და ... იქ დაუძინიათ. როდესაც კარგათ ... ბულან, გაჩენილა ცეცხლი, უთუოთ ღამ-... და სანამ არ გაძლიერებულა, საბრალოებს ... გაუგიათ. ბოლოს გაუგიათ, მაგრამ ერთი ... გამოსულა და შიგვე ჩამწვარა სრულიად, ... მეორე ცოცხალ-მკვდარი ჩამოიყვანეს ... სავათმყოფოში.

9 თებერვალს, როდესაც ძმ. ფორუდების ... ხუფობზე შავი ქვის ვაგონებს აყენებდენ, ერთი ... მუშა,—ექვთიმე ვარდოსანიძე ვაგონებს ქვეშ ... მოყვა, რომელმაც იქვე დალია სული. საბრალო! ... ვინ იცის რამდენ გაჭირვებას გამოექცა სოფ-ლიდან ლუკმა პურის საშოვნელათ?

8 მარტს ერთმა მთვრალმა კაზაკმა მთელი ... ორი საათი ურტყა ერთ მეჭურე რაჭველს, არ ... ეცის კაცმა რისთვის, ალბათ სახე არ მოეწონე-ბოდა.

ამხანაგი.

ახალ-ბაიაზეთის მაზრიდან „ჭარაჟს" სწერ-ენ: მარტის 3-ში დაიწყო დ. რაჩიხავში გლე-ხების რწმუნებულთა არჩევნები „დუმისთვის". არჩევნებს ხელმძღვანელობს ადგილობრივი მომ-რიგებელი მოსამართლე, მაგრამ ღმერთმა შეი-ნახოს ამ გვარი არჩევნები... მამასახლისის არ-ჩევნების დროს ხალხი უფრო დაინტერესებუ-ლია და მღელვარობს, ბჭობს, კამათობს, ვიდრე ეხლა. არც გასაკვირია: მთელი წლის განმავლობაში სომეხი გლეხი იძულებული იყო თავისი სიცოცხლე, ქონება დაეცვა ველური თავდასხმისაგან და ამას შედეგათ ის მოყვა, რომ ის არა თუ არ ჩამორჩა განმათავისუფლე-ბელ მოძრაობას, არამედ ვერც კი გაიგო რა ხდებოდა მის გარეშე რუსეთში. „დუმა"-ც, როგორც ამ მოძრაობის შედეგი, გამოურკვე-ველი დარჩა ჩვენი გლეხისთვის.

საჭირო იყო თავის დროზე, როგორც მწერ-ლობით, ისე ზეპირათ აგიტაციის გაწევა მის შესახებ, თუ რა არის დუმა და რა ცვლილებას შეიტანს იგი გლეხის ცხოვრებაში... მაგრამ ეს სუვველაფერი შეუძლებელი გახდა „ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო".

ქარკაზნ

ადგილობრივი პრესა

გაზეთი „მშაკი" (№ 53) მსჯელობს სომეხ-თათართა „წარმომადგენელთა სიეზდზე და სხვათა შორის სწერს:

„ჩვენ სრულებით არ ვამტკიცებთ და არც ვგითქვამს, რომ სომეხი დელეგატები მთელი სომხის ხალხის მიერ იყვენ წარმოდგენილნიო. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ არჩევნები არ ყოფილა ნამდვილი იდეალური (!), რომ არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია მთელ ხალხს, არამედ უმთავრესათ რამდენიმე ქალაქების და პროვინციის ხალხს. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ხალხის ნამდვილ წარმომადგენლებათ ჩაითვლებოდენ მხოლოდ ისინი, ვინც არჩეული იქნებოდა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით. მაგრამ საქმე ამაში არ არის და **ამას მნიშვნელობაც არ აქვს ამ შემთხვევაში**", ვინაიდან ესენიც იმას იტყოდენ, რაც სიეზდზე თქვესო.

როგორც ხედავთ, სიეზდზე ყოფილა წარმომადგენელნი არა სომხის ხალხის, არამედ მისი გაბატონებული კლასების—ბურჟუაზიის, ინტელიგენციის, მღვდლების და სხ. ამათთვის დაურქმევიათ „სომხის ხალხის წარმომადგენელნი", სწორეთ ისე, როგორც მთავრობა ახლა სახელმწიფო სათათბიროს „ხალხის წარმომადგენლობას" უწოდებს და ამ ყალბ წარმომადგენლობას ბრძენი „მშაკი" „უმნიშვნელოთ" აცხადებს, ვინაიდან მშრომელი ხალხიც იმას იტყვის, რასაც ჩვენ ვამბობთო! იმას იტყვის კი? მიემხრობა ხატისოვებს, როცა ერთი მათგანი სომხის ხალხის მთავრობის სიყვარულში ბიუროკრატიის არწმუნებდა, ხოლო მეორეს მაგალითათ მოქონდა ქუთაისის გუბერნიის აკლებო. ძალით ორასი ათასი მან. შორაპნელებისათვის გადახდევინება და ასეთსავე სომხებს ითხოვდა თავისი პროვინციებისათვის. ნუთუ ამას თხოულობს სომხის მუშა ხალხი? ჩვენ გვგონია, რომ ის ითხოვს არა ამას, არამედ ხატისოვების და კომპ. თავიდან მოშორებას, მათი ოპეკიდან გამოსვლას და თავისი გაჭირვების თვითონვე აღიარებას.

და აი, მათი ნამდვილ წარმომადგენელთა სიეზდზე შეიძლება ადვილათ გამოირკვეს შეტაკების ნამდვილი მიზეზები, შეიძლება აქ კრიტიკაში გატარდეს ზოგი ვითომ და „რევოლიუციური" ორგანიზაციების მოქმედება. ორივე ერის გაბატონებული კლასების მიერ ხალხის დაუსჯელათ ყვლეფა და ამ ნიადაგზე განხეთქილების ჩამოგდება—ერთი სიტყვით ბევრი რამ ისეთი, რაც ასე არ ეჭაშნიკება „მშაკს" და მის ამყოლ-დამყოლს.

დიახ, სომხის და თათრის მშრომელი ხალხის ნამდვილ წარმომადგენელთ შეუძლიათ განხეთქილების მოსპობა და არა მათ გაბატონებულ კლასებს, რომელთა ინტერესი ერთმანერთს ეწინააღმდეგება და მათ შორის შუღლი უბრალო „რეჩებით" არ გაქრება.

ფილოსოფიის დოქტორი პროვოკატორის როლში.

განახლებულ, ყოველ-კვირეულ „ივერიის" მეორე ნომერში ერთი სტატია არის მოთავსებული ამ სათაურით: „ლომების ბანაკში". ამ სტატიაში, ფ. გოგიჩაიშვილი, სხვათა შორის, წერს: „ჩვენ ვიცოდით, რომ მიტინგების „რეჩები" ცარიელი სიტყვები იყო; ვიცოდით, რომ ის თავის „იწილო-ბიწილოთი" „ცნობილი" და დიდათ „გამოჩენილი" ორატორი, რომელიც 18 ოქტომბერს ხალხს, თფილისის ბასტილიის, მეტეხის ასაღებათ იწვევდა, ხოლო მთელ მის შეიარაღებას მისი პატარა მუშტები შეადგენდა, კაზაკებს და სალდათებს ვერ დაამარცხებდა და ბასტილიას ვერ აიღებდა"... „ეს უშიშარი რაინდი, რომელიც გუშინ ვინტოვკებით შეიარაღებულ რუსეთის ჯარს მუშტით უპირებდა დამარცხებას, ჩვენვე გვეფახავს და „ხულიგანის" სახელწოდებით გვამკობს! ისინი, ვინც გუშინ თავის უვიცობით და გატაცებით ხალხს ნამდვილ დამარცხებისკენ იწვევდენ, თურმე ხალხის ნამდვილი მესვეურნი არიან, ხოლო ჩვენ, რადგან წინ დახედვასა და, თადარიგიანობას ვურჩევდით, „ხულიგანთა" და „მავრაზმელთა" ბანაკში ვყოფილვართ ჩარიცხული. ამას ამბობს წარბ შეუხრელათ და გაუწითლებლათ „განთიადი"-ს სან-დონი. ოღონდაც მართალი ყოფილა, რომ სირცხვილის ძარღვი ადამიანს გაუწყდება თურმე, სხვა არა გვეთქმის-რა ასეთ უტვინობაზე"... „მხოლოდ ერთი ეს მიბრძანეთ ხალხისთვის თავდადებულო კალმოსანო: როცა შორაპნის მაზრის მცხოვრებნი დაარბიეს, უკანასკნელი ქათამი და ფუთი სიმინდი ჩალის ფასათ გააყიდვინეს და ხაზინიდან წაღებული 250 ათასი მანათი დაათვლევინეს, თქვენ და თქვენი ამხანაგები მაშინ სად ბრძანდებოდით და თქვენი გულმტკივნეულობა ხალხს რა პასუხს ეუბნებოდა?"

ვინც ზემოთ მოყვანილ სტრიქონებს წაიკითხავს, ძალაუნებურათ, იკითხავს: ნეტა ვინ არის ის თავის „იწილო-ბიწილოთი" „ცნობილი" და დიდათ „გამოჩენილი" ორატორი, რომელიც 18 ოქტომბერს ხალხს, თფილისის ბასტილიის, მეტეხის ასაღებათ იწვევდა" და „ვინტოვკებით შეიარაღებულ რუსეთის ჯარს მუშტით უპირებდა დამარცხებას". ვინ არის ეს „განთიადი"-ს სან-დონი, რომელმაც ხალხი გააბრიყვა, რომლის გამოისობით შორაპნის მაზრის მცხოვრებნი დაარბიეს; „სიტყვები „იწილო-ბიწილო" რომ ფრჩხილებში არ იყოს მოქცეული, ყურადღებას არავინ მიაქცევდა, მაგრამ, რადგანაც ეს სიტყვები ფრჩხილებში ზის, ძალაუნებურათ, გაგახსენდებათ, ამას წინეთ „ცნ. ფ."-ში მოთავსებული საოხუნჯო კომედია. აღწერილია ტფილისის საბჭოში მომხდარი კრებები, რომელშიაც, სხვებთან ერთათ, სოციალ-დემოკრატებიც იღებდენ მონაწილეობას. მომქმედ პირათ, სხვათა შორის, გამოყვანილია ერთი ამხანაგი, როცა იმაზე მიდის ლაპარაკის ჯერი, კომედიის ავტორი, აღნიშნავს რა მის სახელსა და გვარს, ათქმევინებს: „იწილო, ბიწილო, შროშანო გვრიტინო" და სხვა.

დარწმუნებული ვართ ეს კომედია გაგახსენდება მკითხველო და მაშინათვე იფიქრებ: აი ვინ ყოფილა ის, ვინც 18 ოქტომბერს მეტეხის ასაღებათ და შეიარაღებული აჯანყებისთვის იწვევდა ხალხსო! ფ. გოგიჩაიშვილს, თითქო ეშინია, ვაი თუ მკითხველი ვერ მიმიხვდეს ვიზედ ველაპარაკობო და, რომ უფრო ცხადათ ჰყოს ვინაობა ხალხის ამაჯაყებელი და გამანადგურებელი ორატორისა, ლანძღავს „განთიადის" წერილის ავტორს ს. დ.-ს კი არა, ლანძღავს სან-დონს, ხოლო სან-დონი, თქვენ თუ არა, ბევრმა მაინც იცის, რომ იმ ამხანაგის ფსევდონიმი იყო, „მოგზაურში". ამასაც არ ჯერდება გოგიჩაიშვილი და შორაპნის მაზრის აწიოკებასაც იხსენიებს. რატომ? ალბათ იმიტომ რომ ის ამხანაგი შორაპნელია. აქ არ გამოუდგებით იმის გამორკვევას, თუ რამდენათ, მეტი რომ არა ვთქვა, ურიგოა ბ. გოგიჩაიშვილის საქციელი. ვიკითხოთ მხოლოთ: რა განსხვავებაა თქვენსა და იმ პოლიციის საიდუმლო აგენტის საქციელს შორის, რომელიც მივიდა თავის უფროსთან და უთხრა: ესა და ეს კაცი საიმედო არ არის, ხალხს აჯანყებისკენ იწვევს, და საჭიროა მისი თავიდან მოშორებაო. ბ. გოგიჩაიშვილი პროვოკატორი არ არის, მაგრამ მისი საქციელი დიდათ არაფრით განსხვავდება ასეთი ხალხის საქციელისაგან. საიდუმლო აგენტი საიდუმლოთ მარტო თავის უფროსს ელაპარაკება და ბ-ნი გოგიჩაიშვილი კი გაზეთის ფურცლებზე მთელ ქვეყანას ელაპარაკება. ჩვენ კარგათ უნდა დავიხსომოთ.

ერთი ამხანაგთაგანი.

რუსეთი.

შმიდტის დასჯა. „რუსს" დეპეშით შემდეგს აცნობებენ ოჩაკოვიდ ნ ლეიტენანტ შმიდტის სიკვდილით დასჯის შესახებ: „შემაძრწუნებელი, საზარელი საქმე მოხთა. ერთი საათით წინ გათენებამდი, უდაბურ, გავარდნილ კუნძულ ბერეზანზე, რომელიც ოჩაკოვიდან ოც ვერსზე არის, მოკლეს შმიდტი და სამი მატროსი: ჩასტნიკი, გლადკოვი და ანტონენკო... ის ამბავი, რომ ადმირალმა ჩუხნინმა დაამტკიცა სასამართლოს განაჩენი და ბრძანა—ჩქარა მოიჩქარეთ სისრულეშიო, ელვასავით მოედო ყველას და თავ-ზარი დასცა. აი შმიდტის უკანასკნელი წუთები. 6 მარტს, ნაშუადღევის 2 საათზე, სევასტოპოლიდან მოვიდა კანონირთა ნავი „ტერეცი", რომელმაც ჩუხნინის რეზოლიუცია მოიტანა. ჩამოხრჩობა დახვრეტით იმიტომ შეუცვალა ჩუხნინმა შმიდტს, რომ ჯალათი ვერ იშოვნეს. 3 საათზე შმიდტს გამოუცხადეს განაჩენი, რომელიც შმიდტმა მშვიდათ მოისმინა, მხოლოდ ცოტათი გაფითრდა. მატროსებმა თქვეს—ჩუხნინიდან აბა მეტს რას უნდა მოველოდეთო? დაუყონებლივ „პრუტზე" მოვიდა შმიდტის დამცველი ვინბერგი, იგი სულ ოჩაკოვზე იმყოფებოდა. ეს იყო შმიდტის მეგობარი, რომელმაც უკანასკნელათ ნახა შმიდტი და ილაპარაკა მასთან. „პრუტზე" მან დაჰყო ოთხი საათი. შმიდტი დიდხანს და მწარეთ ტიროდა მატროსების გამო. ის ამბობდა: „მატროსებს აპატიებდენ მეგონა, ისინი ისეთი პატიოსანი, ისეთი ერთსული იყვნენ! მე მარტო მინდოდა სიკვდილი, ეგ უფრო ადვილი იყო ჩემთვის. იმათ არავითარი დანაშაული არ მიუძღვის!" ვინბერგი, რაც შეეძლო ამშვიდებდა შმიდტს, თითონ კი ცხარეთ ტიროდა. ეს საშინელი წუთები იყო. შმიდტმა მიმართა დამცველს: „ერთი რამ მაწუხებს მხოლოდ,—შეიძლებ დაუჯერონ იმ ჭორს, თითქოს მე „ოჩაკოვ"-დან სროლა დამეწყოს. ეს სიცრუეა. მე არ მომიკლავს არც ერთი ადამიანი. გამოცხადეთ ეგ ჩემ მაგიერ—ითხოვეთ, რომ არავინ დაიჯეროს!" შემდეგ შმიდტმა წერილების წერა დაიწყო, განსაკუთრებით დიდხანს წერა თავის დის, იზაბშისადმი. მისწერა შვილსაც; იხვეწებოდა—ეს წერილები გაუშვით, ნუ დაიჭერთო. ღამის სამ საათზე შმიდტი და მატროსები საიდუმლო კარებიდან ბარჟაში გადასვეს და კუნძულ ბერეზანზე წაიყვანეს. დილის ოთხი საათი იყო, როცა ის კუნძულზე მივიდა. აქ იყვენ „პრუტის" კომანდირი და აფიცრები, ჟანდარმთა როტმისტრი, ოთხი კუბო, მღვდელი და ბარები საფლავის გასაჭრელათ.

შმიდტის და მატროსების დახვრეტა „ტერეცი"-ს მატროსებს, რიცხვით 60 კაცს შეხვდა, ისინი გააჩერეს დასასჯელებიდან 50 ფეხის ნაბიჯზე, მათ უკან „ყოველ შემთხვევისათვის" სამი „გზვოდი" იდგა სალდათებისა. შმიდტმა პატიება სთხოვა მატროსებს, შემდეგ სალდათებს უთხრა—ნუ დაივიწყებთ ლეიტენანტ შმიდტს, რომელმაც რუსეთისთვის დასდო თავიო. „თქვენთვის ვიბრძოდი ძმებო!.. ჩემისთანა კიდევ ბევრია, შემდეგში ხომ უფრო ბევრი იქნება!" დაემშვიდობა აფიცრებს, სთხოვა ბოძზე ნუ ამაკრავთ და თვალებსაც ნუ ამიხვევთო. ჩასტნიკმა სთქვა: „მშვიდობით ამხანაგებო, ამ წუთში მომკლავთ, მშვიდობით!" დანარჩენები ტიროდენ. ზიარება არც ერთმა არ მიიღო. შმიდტი უქუდოთ იყო, მარტო თეთრეულში, მარტო იმას არ ქონდა სახე ახვეული და თავი მაღლა, ამაყათ ეჭირა... ბარაბანმა დაჰკრა, კამანდა დაეწყო, მატროსებმა თოფები აიღეს. შმიდტი ყვიროდა: „მშვიდობით... მომკალით!" თვალები ღია აქვს. გაისმის: „ისროლეთ"! სროლილობენ. 2 მატროსი დაეცა. მესამე სროლის შემდეგ მესამე მატროსი მოკვდა. შმიდტი ჯერ კიდევ უვნებელია. გაისმა სროლის ხმა და შმიდტი დაეცა, თავიდან ფეხებამდე დახვრეტილი, სისხლი თუხთუხით გადმოსდის ჭრილობებიდან. ხუთის ნახევარზე მინერებმა ჩადვეს კუბოში ცხედრები, ამოთხარეს მიწა და დამარხეს..— ტრაგედია გათავდა"!..

აი ეს ამბავი მოხდა კუნძულ ბერეზანზე, დილას, როცა განთიადი იფერებოდა და ნამეთი ჰირ დაბანილი ქვეყანა დილის მზეს ელოდებოდა, ჰირი სახის შესამშრალებლათ. აქ იყვენ კამანდირი, აფიცრები, მღვდელი, ოთხი კუბო, ბარი მიწის გასათხრელათ, ჟანდარმება, სალდათები და ოთხი სიკვდილით დასასჯელი მამულიშვილი, რომლებიც ყველა ამას ხედავდენ და ეუბნებოდენ: მშვიდობით!

ბიუროკრატიის სამეფოდან. სახელმწიფო საბჭოს რეფორმის იდეა, თავდაპირველათ ვიტტეს დაბადება. გრაჟდ. აშკარათ უთქვამს, რომ რაც უფრო ფართო რეფორმას მოგახდენთ სახელმწიფო საბჭოში, მით უფრო შესრულებს ის „საჭიროების" დროს სახალხო წარმომადგენლობის ორგანოს როლს. თან და თან ირკვევა ამ საბჭოს დანიშნულება: თუ სათათბირო „უკიდურეს" დარჩა, მაშინ მას დაითხოვენ და მის ფუნქციებს დროებით შეასრულებს საბჭო....

საერთოდ ცხადი ნიშნებია იმის, რომ სახელმწიფო სათათბირო მაინცა და მაინც ხანგრძლივი ვერ იქნებაო—ჩურჩულობენ ბიუროკრატიულ სფერებში.

სიკვდილით დასჯას არ სპობენ. გავრცელებული ხმები, რომ სიკვდილით დასჯას მალე მოსპობენო ტყუილი ყოფილა. არც მინისტრთა და არც სახელმწიფო საბჭოში ამის შესახებ კრინტიც არ დაძრულა. ის კი არა, უფრო უნდა ველოდეთ სამხედრო სასამართლოების გაძლიერებასო.

არესტები. ნევას „ზასტავაზე" ბევრი დაატუსაღეს, რომელთაც სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების ბოიკოტის მეთაურობა ბრალდებოდათ. რადგანაც ამ რაიონში მღელვარება მატულობს, პოლიციელთა, რიცხვი გაამრავლეს.

სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტი პეტერბურგის მუშათაგან. პეტერბურგის მუშათა დიდ-ძალმა უმრავლესობამ უარი თქვეს ან კიდევ გვერდი აუქციეს სახელმწიფო სათათბიროსთვის რწმუნებულთა არჩევას და ამნაირათ ბოიკოტი თითქმის სავსებით გაიდა. გაზ. „ნაშა ჟიზნ" ბოიკოტის ასეთ გამარჯვებას, რასაკვირველია უკიდურეს პარტიების აგიტაციას აწერს, მაგრამ ბოიკოტის მთავარ მიზეზათ-კი მთავრობას და მის აგენტებს ასახელებს, რომლებმაც არჩევნებში თვიანთი წარამარა და მოურიდებელი ჩარევით და არჩევნების წინ მხეცური თვითნებობის და ძალმომრეობის ჩადენით ისეთი ატმოსფერა შექმნეს, რომ მუშებმა არა თუ გული აიცრუეს არჩევნებზე, არამედ ზიზღით და გულის წყრომით აღივსენ მათ მიმართ.

ახალი სასახლის პარტია. სასახლეში შედგა ახალი წრე, რომელსაც „ვარსკვლავთა პალატა" ჰქვია. ამ „ვარსკვლავთა პალატის" მეთაური არის ტრეპოვი. ხოლო მდივანი—პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი გარინი. პალატას დიდი გავლენა ქონია უმაღლეს სფერაში. ვიტტეს თურმე ამ ბოლო დრომდე არც კი სცოდნია ამ პალატის არსებობა.

მინისტრთა საბჭოში. ამ უკანასკნელ დროს მინისტრთა საბჭოში დურნოვოს განუცხადებია, რომ მთელ რუსეთში დატუსაღებულთა რიცხვი მართლა 77 ათასი როდია, არამედ 22 ათასიო. მაგრამ დურნოვომ იქვე დაუმატა: ის კი არ ვიცი, რამდენი ჰყავს დატუსაღებული ჩემ გენერალ გუბერნატორებსო. ამნისტიის შესახებ დურნოვოს უთქვამს, რომ დატუსაღებულთა რიცხვიდან ჯერჯერობით შეიძლება განთავისუფლდეს მხოლოდ 20 პროცენტი, დანარჩენები კი სახელმწიფო სათათბირომდე უნდა იჯდენ ციხეში, რადგან ისინი რევოლიუციონერებიაო.

აი ამხანაგობა! ვიტტეს, როგორც ამბობენ, სახელმწიფო სათათბიროს შეკრების დროს, სამსახურიდან უნდა თურმე გასვლა, ეს იმიტომ, რომ პასუხი არ აგოს სათათბიროს წინაშე უკანასკნელ დროის ამბების გამო. დეე, დურნოვო წარუდგეს წინ „ხალხის" წარმომადგენლებსო. ამხანაგობაც ასეთი უნდა.

საპყრობილეთა მთავარი სამმართველო თხოულობს ზედ მეტ 80,000 მანეთს ტუსაღების შესანახავათ.

სამხედრო წესები. სამხედრო წესებს, როგორც ამბობენ, სახელმწიფო სათათბიროს მოწვევამდე არ მოხსნიან.

არჩევნების ბოიკოტი. 5 მარტს, კრონშტადტის პორტში სახელმწიფო სათათბიროსთვის რწმუნებულთა არჩევნების დროს მხოლოდ 25 წელზე მეტი ხნის მუშები დაუშვეს. მიუხედავათ იმისა, რომ არჩევანს ადმინისტრაცია დაესწრო, მუშებმა მაინც ერთხმათ ბოიკოტი გადასწყვიტეს.

რუს. ს. დ. მ. პარტიისაგან გამოვიდა განცხადება, რომელშიაც პარტია შემდეგს აცხადებს: მიუხედავათ იმისა, რომ პეტერბურგში პოლიცია ძლიერ გვიშლიდა ხელს, მუშებმა მაინც 120 კრება გამართეს, სადაც ვრცლად ირკვეოდა კითხვა ბოიკოტის თუ მონაწილეობის მიღების. 2,094 კაცში 1,168 სრული ბოიკოტის მომხრე იყო. წარმომადგენელთა კონფერენცია, რომლებიც რაიონებმა მოახდინა, კიდევ ამ კითხვაზე შეიკრიბა და 36 ხმით ოცის წინააღმდეგ იგივე გადაწყვეტილება მიიღო...

ძაღლი დეპუტატათ. ნაუმანის ქარხნის მუშებს, როგორც გაზ. „რუს"-ი გადმოგვცემს, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატათ აურჩევიათ იმავე ქარხნის ძაღლი—რონზ.

მუშათა ცხოვრებიდან

თფილისის წყლის მილის მუშების ბრძოლის ნაყოფი. გასულ წელს—ნოემბერში ვადაპრავოდჩიკების საერთო კრებამ შეიმუშავა შემდეგი მოთხოვნები:

1) რადგან თავისუფალი დრო არა გვრჩება გონებრივი და ზნეობრივი განვითარებისათვის, ამიტომ მოვითხოვთ რვა საათის სამუშაო დღეს.

2) რადგანაც ხშირათ ხდება ხოლმე გაფიცვები, ამიტომ ვითხოვთ ყოველგვარ გაფიცვების დროს სრულ ჯამაგირებს.

3) რადგანაც ხაზეინები ერთმანეთს უყურებენ და არც ერთი არ უნდა დააკმაყოფილოს მუშები, ამიტომ მოვითხოვთ ყველა ხაზეინმა ხელი მოაწეროს ამ მოთხოვნილებას.

4) რადგანაც ხაზეინები შაბათობით არ ურიგებენ მუშებს თავის როზე ჯამაგირებს, ამიტომ მოვითხოვთ შაბათობით დაუყონებლივ დაურიგდეთ ჯამაგირები არა უგვიანეს სამი საათისა.

ამ მოთხოვნებს ხელი მოაწერეს შემდეგმა ხაზეინებმა: ბ. რუდოვი, გრ. ერმიშოვი, დ. ბუჯიაშვილი, წყ. აზატოვი, მ. ქალკოვსკი, ი. მ. რეიმან, ვ. იაშვილი, რ. მ. პესის, ი. დ. როიტენბერგი, ი. ხირსოვი, ს. ს. გერშოვი, ი. ქორქაშვილი, გ. ჩიტაშვილი, დ. ბელზეცმან გ. ზარიძე, ს. ტაბუციძე.

როგორც კი რეაქციის გამარჯვებამ ხაზეინებს ექსპლოატაციის გზა გაუფართოვა, ზემოხსენებულ ხაზეინებთაგან ბ. ბელზიცმანი შეეცადა დაერღვია შემოღებული წესები. თავდაპირველათ მან დაითხოვა ორი მუშა 15 იანვარს, რითაც უნდოდა სხვა მუშების წელში მოკაკვა. მაგრამ ამით მიზანს ვერ მიახწია, პირიქით მუშებმა გაფიცვა გამოუცხადეს და წარუდგინეს შემდეგი მოთხოვნილებები: 1) სისრულეში დარჩეს რვა საათის სამუშაო დრო; 2) დათხოვნილ ამხანაგებს მიეცეთ სამი თვის ჯამაგირი; 3) მუშათა დათხოვნა-მიღება ეკითხებოდეთ თვით მუშებს, როგორც ქარგლებს, ისე შეგირდებს; 4) რამდენ ხანსაც უნდა გაგრძელდეს გაფიცვა მუშებს სრული ჯამაგირი მიეცეთ.

მუშებმა მტკიცეთ განაგრძეს გაფიცვა. ამან გული გაუტეხა ბელზიცმანს და მოლაპარაკება გამართა მუშებთან. თუმცა ბევრი იყოყმანა ხაზეინმა, მაგრამ არა გაუვიდა რა. გაფიცვა მუშების სრული გამარჯვებით გათავდა 8 მარტს. ახლა ზოგიერთმა სხვა ხაზეინებმა მოინდომეს შემოღებულ წესების დარღვევა. ეს ვაჟბატონები სამუშაოს მხოლოდ იმათ აძლევენ, ვინც ნაჭრობით იღებს, რითაც ცდილობენ ზედმეტი მუშაობის თანდათან აწევას. მაგრამ ეს ხაზეინებიც მარცხდებიან. ნაჭრით საქმეს მხოლოდ მშიშარა და ხაზეინების მომხრე მუშები ეტანებიან, ასეთ მუშათა რიცხვი არც კია სათქმელი.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 მარტი.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება მისცა მეორეჯერ ამომრჩევლების არჩევნების დანიშვნისა პეტერბურგის მაზრის ვოლოსტებში. წვრილ მემამულეების სიეზდმა, ლესნოის, მეოთხე პეტერბურგის და პირველი პეტერბურგის მაზრის და პეტერგოფის ნაწილებში, აირჩიეს 20—17 ოქტომბრის კავშირ., 19 კადეტი, 3 უფლებრივ პარტიისა, 3 პროგრეს.-ეკონომისტი, 2 რუსეთის ხალხის კავშრ., ერთი ვაჭარ მრეწველი, 14 პარტიის გარეშე. 1511 ამომრჩევლებში გამოცხადდა მხოლოდ 160.

მოსკოვი. მოსკოვის გუბერნიაში ის პირები, რომელთა არჩევა სახელმწიფო დუმისთვის, შეიძლება მოსკოვის მაზრაში აღმოჩნდა 10 კაცი, კლინსკისაში—12,—ბრონიცკისაში—5, ვერეისკისაში—8. მემამულეების სიეზდზე ვილენის მაზრიდან აირჩიეს 2 ქზენძი, 4 აზნ., მეშჩანინი, 3 გლეხი. ბოლხოვის მაზრაში, (ორლოვის გუბერნია)—მღვდელი, 12 მემამულე კონსერვატორები, სლობოდსკისაში აირჩიეს მღვდელი, 2 ტყავის ქარხნის პატრონი, ყველა ზომიერებია. ბრიანსკში ძველი თავად-აზნაურების პარტიამ გაიმარჯვა, ხალხის თავისუფლების წევრები გაიშავეს.

პეტერბურგი. ქალაქის ამომრჩევლების სიეზდზე ბელგოროდში აირჩიეს ნაფიცი ვექილი, ხალხის თავისუფლების პარტიის წევრი, ოსკოლში მემამულეების სიეზდმა აირჩია სახელმწიფო პალა-

ტის განყოფილების უფროსი და ხუცესი, ორივე მონარქისტებია, არდატოვში ქალაქის ამრჩეველთ—საერობო სამმართველოს თავმჯდომარე, კადეტი, სლობოდსკში წვრილ მემამულეების სიეზდმა 2 ტყავის ქარხნის პატრონი, ყველა ზომიერია, სვიაჟსკში მემამულეების სიეზდმა—ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორი, ხალხის თავისუფლების პარტიის წევრი, და გაზ. „კაზარსკოი ზემსკოი გაზეტის“ რედაქტორის თანაშემწე, პარტიის გარეშე. სვირში სვიაშჩენსკის მაზრაში წვრილ მემამულეებმა აირჩიეს 2 ქსენძი, გლეხი და აზნაური., დისენის მაზრის წვრილ მემამულეებმა—2 ქსენძი, 6 აზნაური, 3 სხვა წოდებიდან, ლოსვიცის 15 ვოლოსტის რწმუნებულებმა აირჩიეს ვოლოსტის მწერალი, ორი სოფლის მწერალი, 16 კაზაკი, 11 გლეხი, ბრიახის მაზრის მემამულეების სიეზდმა—ყოფილი თავად-აზნაურთა წინამძღოლი თენიშევი, არლოვის ბანკის სამმართველოს თავმჯდომარე რობერი, ქალაქის სამმართველოს თავმჯდომარე ლუკაშევი, ყოფილი თავად-აზნაურთა წინამძღოლი გლუხოვი, ომის მაზრ. უფროსი აზაროვი. ტრუბჩევსკის მაზრის მემამულეების სიეზდმა 4 ნაცვლათ 2 აირჩია—თავ.-აზნ. წინამძღოლი კორშიაკოვი—მემარჯვენე და მღვდელი. შემდეგ არჩევნებზე არჩეულებმა უარი განაცხადეს. დიმიტრიევის მაზრაში აირჩიეს თავად-აზნ. წინამძღოლი ვასიჩი და გლეხი.

13 მარტი.

პეტერბურგი. ქალაქის ამომრჩევლების სიეზდმა ტამბოვში ხუთი ამომრჩეველი აირჩიეს, ყველა კადეტები. მიატელევის წვრილ მემამულეებმა 5 ხუცესი, სამი მეჩხანინი, 16 გლეხი. ბენდერში მაზრის სიეზდზე მემამულეებმა აირჩიეს თავად-აზნ. წინამძღოლი, ვაჭრები მღვდელი და ორი გლეხი, ამათ რიცხვში ერთი მეჩხანინი.. უგლიჩში აირჩიეს ორი აზნ., ამათ რიცხვში თავადი შახოვსკი, რომელიც შეიძლება სახელმწიფო დუმის კანდიდატათ გავიდეს. რეველში ქარხნების რწმუნებულების არჩევნები მოხდა. 14 დაწესებულებიდან თერთმეტში არჩევნები მოხდა. არჩეულთა შორის ორი უკიდურესი მემარცხენეა. ორანიენბაუმში, ჩენსტახოვში, მინსკში და ნოვგოროდში საარჩევნო კრება იყო.

ხარკოვი. მთამადნის მწარმოებელთა სიეზდმა დაადგინა 25 მარტამდის მუშაობა შეწყვიტოს, ვინაიდან ბევრ წევრთაგანმა არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღოს.

ზუგდიდი. ასი დრაგუნით მოვიდა გენერალ-გუბერნატორი ალიხანოვი. ქალაქი მას აღფრთოვანებული მიეგება და სთხოვა, რომ ხელმწიფე იმპერატორს აცნობოს უქვეშევრდომილესი ერთგულება და ამასთანავე იშუამდგომლეს, რომ ზუგდიდში დაინიშნოს რეგულიარული ბატალიონი.

ანდრეევი. ნაშუადღევს ანდრესეიმსა და მინოსოვს შორის დომბროვის გზაზე, რევოლვერებით შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველებმა გაძარცვეს რკინის გზის ფულის ამკრეფი და წაართვეს 1000 მანეთამდე.

ნოვოჩერკასკი. ჩერკასკის ოლქში წვრილ მემამულეების სიეზდზე აირჩიეს ორი გლეხი, მეჩხანინი, ინჟინერი, იჯარადარი, მეწისქვილე; ცარსკო სელსკის მაზრაში—ორი აგარაკის პატრონი ინტელიგენტი, 2 გლეხი, ამათ რიცხვში კადეტების და 17 ოქტომბრის კავშირის წევრია, ორი პარტიის გარეშე; სლავენსკში, ხარკოვის გუბერნიაში,—მღვდ., 4 გლეხი, 17 მცხოვრები, ამათ რიცხვში ახალშენელები; ლებედინში არჩეულთა უმრავლესობა კერძო მესაკუთრე გლეხებია, ხუცები და მსხვილი მემამულეები გაიშავეს; ბელომში, სმოლენსკის გუბერნიაში, აირჩიეს 24 გლეხი, 10 მღვდ., 4 მეჩხანინი, ვაჭარი; გრავიოროვსკის მაზრაში აირჩიეს 5 კაცი პროგრესისტი; არდატოვში აირჩიეს 56 ვოლოსტის რწმუნებული, ამათ შორის ერთი საერობო სამმართველოს წევრია, 4 მამასახლისი, დანარჩენი უბრალო გლეხები.

იარეცი. ქალაქის სიეზდზე აირჩიეს ჩინოვნიკი უმაღლესი განათლებით, კადეტი.

მორშანსკი. მაზრის ვოლოსტების რწმუნებულებმა აირჩიეს 8 ამომრჩეველი, ზოგი მათგანი პროგრესისტია.

პეტერბურგი. ოფიციალიალურათ. მინისტრთა საბჭომ დაავალა მინისტრებს და ცალკე განყოფილებათა მთავარ გამგეობას მათი მომავალი მოქმედების გეგმა შეიმუშაონ, რომ მინისტრთა საბჭომ დროზე მოასწროს მისი განხილვა და მზა მზარეული კანონ პროექტი წარუდგინოს სახელმწიფო სათათბიროს. ჯერ-ჯერობით ფინანსთა მინისტრმა წარადგინა სახელმწიფო საბჭოში გადასახადების პროგრამის პროექტი. რუსეთი მძიმე ისტორიულ ეპოქას განიცდის ომის გამო გამოწვეული აუარებელი ხარჯები, მოუსავლობა შიდა გუბერნიებში, და თან არეულობა, რომელიც განზრახ პირდაპირ მიმართულია, რომ ეკონომიურათ დასცეს ჩვენი ქვეყანა, ყველა ამას შესამჩნევათ უკან დასწიეს მცხოვრებთა ძალა გადასახადების შეძლების. ასეთ მდგომარეობაში ყოვლად შეუძლებელია სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის ერთ დონეზე დაყენება, ამიტომ საჭიროა ძალაში დარჩეს მხოლოდ ისეთი ხარჯები, რომლებიც აუცილებლათ საჭიროა და სასარგებლოა და ზედ მეტი კი გაუქმდეს. ამ საქმის დაწყება დუმას ეკუთვნის, რომელიც ფინანსის მინისტრს შემწეობას აღმოუჩენს. თუ ერთი მხრით ხარჯების შემცირებაა საჭირო, მეორე მხრით არ შეიძლება, რომ ხარჯები არ გადიდდეს გამოსასყიდი გადასახადების გაუქმებამ სამოცდაათი მილიონი მანეთი ზარალი უჩვენა ხაზინას. ამის დასაფარავათ საჭიროა ახალი წყაროების გამონახვა. ეს წყაროები აუცილებლათ გადასახადები უნდა იყოს, ვინაიდგან ხაზინას სხვა წყაროები ჯერჯერობით არ აქვს, თუმცაღა სამინისტროს აზრით რკინის გზებით, სახელმწიფო ტყეებით და სამთო მადნები წარმოებით შეიძლებოდა შემოსავლის გადიდება. ამ მოსაზრებით ფინანსიური მმართველობის მიზანს დღეს შეადგენს ზოგიერთ ხარჯის შემცირება. ამ რეფორმების სახელმძღვანელოთ უნდა იქნეს თანასწორი გადასახადების გაწერა და ღარიბ მცხოვრებლების მძიმე ტვირთის შემსუბუქება, პირველ ყოვლისა მინისტრს მიაჩნია მიწების გადასახადის რეფორმა, მიწების გადასახადების გათანასწორება სხვადასხვა ადგილებში, ქალაქის უძრავ ქონებაზე გადასახადების რეფორმა, გადასახადის შემოღება შემოსავლის კვალობაზე მემკვიდროებაზე. რაც შეეხება არა პირდაპირ გადასახადს, მიუხედავათ ზოგიერთ ეკონომისტების კრიტიკისა, ის აუცილებლათ უნდა დარჩეს, ვინაიდგან ამის მოსპობა მთელ სახელმწიფო ბიუჯეტს შეანგრევს. აზრათ აქვთ თამბაქოზე აქციზის გადიდება, ელექტრონზე, მაზზე და ქაღალდზე გადასახადების შემოღება.

საპოჟოკი. ვოლოსტის რწმუნებულებმა აირჩიეს ერთი ვაჭარი, 4 უბრალო გლეხი. ერთ არჩეულ რწმუნებულს ვოლოსტმა დაავალა, თვითმპყრობელობის და გლეხების ინტერესების დამცველობა,

ნიკოლაევი. მუშათა რწმუნებულების არჩევნები, მიუხედავათ აგიტაციისა, რომ ბოიკოტი გაეყვანათ, ყოველგან მშვიდობიანათ ჩაიარა. აირჩიეს ზომიერი და პროგრესისტები.

კანდიკოვი. ქალაქის სიეზდზე აირჩიეს ვაჭრის შვილი ვოლოგდის ქალაქის სამმართველოს მდივანი.

ხარკოვი. 54 ვოლოსტის რწმუნებულების კრებაზე თავადი გოლიცინის ხელმძღვანელობით აზრთა გაზიარება მოხდა. გლეხები გულახდილათ ლაპარაკობდენ თავიანთ გაჭირვებაზე და სახელმწიფო დუმაზე იმედებს ამყარებენ.

პეტერბურგი. პეტერბურგის ბირჟის კომიტეტმა სახელმწიფო საბჭოს ამომრჩევლათ აირჩია თავისი თამჯდომარე პროზოროვი და ვოლჟსკის და კამის ბანკის დირექტორი მუხინი, ალებ-მიცემობიდან პუტილოვის ქარხნის სამმართველოს ყოფილი დირექტორი სმირნოვი და ამხანაგობა „პეტრე ბელიაევის ნასლედნიკის“ თავმჯდომარე ბელიაევი. პეტერბურგის ბირჟის კომიტეტი აცნობებს ამომრჩევლებს, რომ 16 მარტს ორ საათზე ბირჟის შენობაში არჩევნები მოხდება.

სმოლენსკი. ვოლოსტის წვრილ მემამულეების და სასულიერო წოდების რწმუნებულების არჩევნებზე აირჩიეს სამი კაცი ხალხის თავისუფლების პარტიის წევრი და ერთი დამოუკიდებელი.

ოსტროვი, აირჩიეს 2 აზნ., 6 მღვდელი, 3 ვაჭარი, 2 ვოლოსტის მამასახლისი, 75 გლეხი.

ჩისტოპოლი. წვრილ მემამულეების სიეზდზე გამოირკვა გლეხთა და სასულიერო წოდებათა შორის გამწვავებული დამოკიდებულება. მეი გაიშავეს. აირჩიეს 30 გლეხი და ერთი აზნ.,

ვორონეჟი. ქალაქის არჩევნების სიეზდზე აირჩიეს ექიმი და ინჟინერი, ორივე კადეტია.

სტარიცა. ვოლოსტებიდან აირჩიეს 5 გლეხი 17 ოქტომ. კავშირის.

სმოლენსკი. გუბერნიის ყველა ნაწილებში სასულიერო წოდების და ვოლოსტების რწმუნებულების არჩევნები დასრულდა. უმრავლესობა პარტიის გარეშეა. კონსტ.-დემ. რამდენიმე კაცია, სმოლენსკში სიეზდის დროს ამომრჩევლების მოთხოვნით დაიჭირეს ნოქარი, რომელიც გლეხებში აგიტაციას ეწეოდა. არჩევნებმა მშვიდობიანათ ჩაიარა.

მოსკოვი. გლეხებიდან ამრჩეველი ბოგოროდის მაზრიდან შინათ-მრეწველია, მოსკოვის მაზრაში ვოლოსტის მამასახლისი, ვენეგოროდისაში 2 გლეხი, ყველა ზომიერები.

პეტერბურგი. გრაფ იგნატიევის კომისიის კრება განსაკუთრებული კანონებს შესახებ 14 მარტს იქნება. დაასრულებენ პროექტის განხილვას პოლიციის მხედველობის და ადმინისტრაციის უფლებების შესახებ. გამოცხადებულია სინოდის უქაზი სასულიერო წოდებიდან თუ როგორ უნდა აირჩიონ სახელმწიფო დუმისთვის წევრები. პოლიუსტროვის ნაწილი წვრილ მემამულეების სიეზდმა აირჩია 63 რწმუნებული, ამათ შორის ორი 17 ოქტომბრის კავშირის წევრია, ერთი ვაჭრობა-მრეწველობის პარტიის, ერთი რუსეთის კავშირის, ერთი უფლებათა პარტიის და 8 პარტიის გარეშე.

სიმფეროპოლი. ამომრჩევლათ ქალაქმა აირჩია საერობო გუბერნიის სამმართველოს ხმოსანი თავადი ობოლენსკი, „ჟიზ. კრ.“ რედაქტორი ნაფიცი ვექილი სკოპინი. გლეხებიდან რჩეულია 7 ამომრჩეველი, სამი ვოლოსტის მამასახლისი, ვოლოსტის მწერალი, სოფლის სტაროსტა, ეკლესიის მნათე და გლეხი, ყველა ერთს გარდა ზომიერებია.

კრონშტადტი. სამხედრო-საზღვაო სასამართლოში დამცველებს სიტყვა არ გაუთავებია.

კრომი. გუბერნიის ამომრჩევლებმა აირჩიეს მაზრის წინამძღოლი და ერობის უფროსი.

პეტერბურგი. უმაღლეს სასწავლებლების პროფესორების დელეგატების სიეზდზე განათლების მინისტრმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც გაატარა ის აზრი. რომ ყველა დღემდის სიეზდზე უმაღლესი სასწავლებლის რეფორმის შესახებ ისეთი პირებიდან შესდგებოდა, რომელთაც სამინისტრო ნიშნავდა და სამინისტროს შეხედულებას გამოხატავდა, რომელიც არ შეიძლება ჩვენი ცხოვრების გამოძახილათ ჩაითვალოს. თავისუფლათ არჩეული წარმომადგენლების შრომა იმდენათ სერიოზულია, რომ მთავრობამ მას ანგარიში უნდა გაუწიოს. დელეგატებმა მინისტრს სთხოვეს, რომ სკოლის დასამშვიდებლათ საჭიროა, დაიცონ ადმინისტრატიულათ გადასახლებული მოსწავლეები. პროფესორებმა შუამდგომლობა აღძრეს, რომ სიეზდების ნება პერიოდულათ დართონ მინისტრმა უპასუხა, რომ ეს სამინისტროს პლანში შედისო. დღეს დაიწყო სიეზდი მეთამბაქოებისა და თამბაქოს ფაბრიკანტებისა, თამბაქოზე აქციზის მომატების საკითხის შესახებ. სიეზდმა უარყო ღირსების განურჩევლათ თამბაქოს ფუთეულათ აქციზის მომატება განსაზღვრული ფასის აუწევლათ და გამოსთქვა ის აზრი, რომ შესაძლებელია მახორკას 10 კ. მიემატოს გირ. ვაისში ნებას დართავენ დენატუროვან სპირტის ნება-დაურთველათ გაყიდვის. სევასტოპოლში აირჩიეს 2 კადეტი, ვენევაში მსხვილ მემამულეების სიეზდზე აირჩიეს მაზრის წინამძღოლი და მაზრის საერობო სამმართველოს თავმჯდომარე, ხარკოვში ყველა 27 ვოლოსტებიდან აირჩიეს 1 გლეხი, უფაში ორი ნაფიცი ვექილი, სამი მემამულე, ერთი დამზღვევი საზოგადოების აგენტი, ყველა კადეტია, სიმფეროპოლში—2 კადეტი, პერმში აირჩიეს უმრავლესობა გლეხებიდან, ბევრია მღვდ., არის არჩეული ყოფილი ჩინოვნიკები, მასწავლებლები.

ვარშავა. ვილაც ბოროტგამზრახველმა რევოლვერით მოკლა მუშა გრუდზინსკი, რომელსაც აღმოაჩნდა ჯარისკაცების პროკლამაცია.

ბაქო. ამ უკანასკნელ ხანებში სპარსეთიდან მოსულ გემებს ჩხრეკენ. 12 მარტს გემი „სკობელევ“-ზე პოლიციამ უცნობ კაცს ბარგი გაუჩხრიკა ბარგში 5,800 ცარიელი ყუმბარების კაპსული, 37 ნახევარი გირვ. დინამიტი 50 გირვანქა ასაფეთქებელი ცომი და 46 შეკვრა პატრუქი თითო 30 არშ. აღმოჩნდა. ბარგის პატრონი მიიმალა.

ვილნო. ჟანდარმის უნტერ ოფიცრის მალაკოვსკის მოკვლის გამძრახველ სკიდლერს ჩამოხრჩობა მიუსაჯეს, რადგანაც მცირე წლოვანია შუამდგომლობა აღძრეს სასჯელის კატორგაზე შეცვლის შესახებ.

ბარისოგლებსკი. აფთიაქარი ილარიონოვის მოკვლა განიძრახეს, ბოროტგამძრახველი დასჭრეს.

რედაქტორ-გამომცემელი **გრ. მახარაძე**.

განცხადება

ვ. გადილიას წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი საკუთარი გამოცემანი:

1) სამი სიტყვა ანუ თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა-ერთობა ივ. მაჭავარიანისა. 5 კ.
2) როგორ უნდა მოხდეს ხალხის წარმომადგენლების არჩევნები? ა. ლომთათიძისა. 4 კ.
3) დუმა პურის ამბავი, ანუ ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან, თარგ. კ. ნინიძისა. 6 კ.
4) თავისუფლებისთვის მებრძოლნი თარგ. ა. ლომთათი- დედაკაცი თარგ. ა. ლომთა-
5) თიძისა. 6 კ.

აგრეთვე იყიდება შემდეგი წიგნები:

ა. წულუკიძე. ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან. 50 კ.
ბ. კაუცკი. ისტორიულ-ეკონომიური ნარკვევი საფრანგეთის წარსულიდან. 20 კ.
გ. მარქსი. გაჭრობის თავისუფლება. 20 კ.
მ. კოვალევსკი. ოჯახის და საკუთრების წარმოშობ.-განვითარება წ. 1. 20 კ.
ბ. ს. მრეწველობის განვითარება ანუ შრომა და კაპიტალი. 15 კ.
ნ. ჟ. გერმანიის ახალი ისტორიიდან. 25 კ.
რა ბრალსა გვდებენ. 10 კ.
შიკპული. პროფეს. კავშირები. 10 კ.
როგორ იბრძოდენ სიცილიელი გლეხები. 15 კ.
ოქტავ მირბო. ჟანი და მადლენა. 25 კ.
ვ. ლიბკნეხტი. ჩვენი მიზანი, თარგმანი პოლ. კალანდაძისა. 15 კ.
ა. ბებელი. კაცობრიობის იდეალი, თარგ. კ. ნინიძისა. 15 კ.
ა. ბახი. შიმშილი, მოკლე პოლიტ. ეკონომია თარგმანი თ. სახოკიასი. 20 კ.
ა. თ. ბიკოვისა. ამბები ინგლისის ისტორიიდან მე-XI-XIX საუკ. თარგ. კ. ჩხეიძისა. 50 კ.
ფროფ. ერნსტ. ჰეკელი. გრძნობათა ორგანოების წარმოშობა და განვითარება. 15 კ.
პ. ლაფარგი. მანქანის მნიშვნელობა თარგ. შ. ცხაკაიას მიერ. 10 კ.
მანტეგაცა. შრომა და ბედნიერება თარგ. შ. ნინიძისა. 30 კ.
შაგი სპარტაკი კუნძულ სან-დომანგოს ცხოვრებიდან. 40 კ.
დ. ჩუბინაშვილი. რუსულ-ქართული ლექსიკონი 2 მან. 40 კ.
ი. იმედაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი 1 მ.— კ.
ე. ბელლამი. ასის წლის შემდეგ (სოციოლოგიური რომანი). 60 კ.
გ. ტისანდე. მეცნიერებისათვის წამებულნი 48 სურათით. 1 მ.—
მიჟუევი. თანამედროვე ქვეყნიერების მოწინავე კუთხე, ინგლისის ახალშენი 60 კ.
ბოკლი. ცივილიზაციის ისტორია ინგლისში ბოკლის სურათით. 50 კ.
ე. ფერიერი. დარვინიზმი ორ წიგნათ. 35 კ.
ქ-ნ შტარი. ჩვენს ქალებს. 20 კ.
ნ. რაიჰესბერგი. მუშათა კითხვა წარსულში და აწმყოში. 15 კ.
ვ. ლუნკევიჩი. მწვანე სამეფო (სურათებით). 20 კ.
ფ. კონი. უჯრედთა სამეფო 10 კ.
სმაილსი. თვითმოქმედება. 15 კ.
მისივე- თვით-განვითარება. 15 კ.
მასსე. ლუკმა პურის ამბავი, აღწერა კაცისა და ცხოველებისა. 40 კ.
გ. წერეთელი. საუკუნოს ცოდნა. 20 კ.
ვ. ჰიუგო. რომ. „ოთხმოც და ცამეტიდან“. 10 კ.
გიორგი ვაშინგტონი (ამერიკის განმათავისუფლებელი). 20 კ.
დ. ხვოლსონი. ხმარობენ თუ არა ურიები ქრისტიანების სისხლს? 10 კ.
ვოლტერი. უმანკო (მოთხრობა) 30 კ.
პრუდონი. უცხოეთის მწერალი 20 კ.
მ. გორკი. მოთხრობები, წიგნი პირველი, კარგს ქალდეზე. 70 კ.
ფ. მახარაძე. ხალხური პოეზია და ბ-ნი მ. კელენჯერიძე, კრიტიკული წერილი. 20 კ.
მისივე. დანიელ ჭონქაძე და მისი დრო. 40 კ.
ივ. გომართელი, შილლერის პოეზიის ძირითადი თვისებანი. 20 კ.
დ. ჭონქაძე. სურამის ციხე. 15 კ.
ჟ. ნინოშვილი. სრული თხზულება ივ. გომართელის კრიტ. წერილით. 1 მ. 50 კ.
ს. მესხი. თხზულებანი, პორ. ტ. 1 მ. —
ლ. ანდრეევი. წითელი სიცილი. 40 კ.
ლ. ტოლსტოი. აღდგომა. 1 მ. 20 კ.
შ. რუსთაველი. ვეფხის ტყაოსანი 4 პორტრეტით და 12 სურ. 60 კ.
ექიმი გააზი. ბედკრულთა მეგობარი. 5 კ.
თ ჰენრი ჰექსლი. ორგანიული ბუნების მოვლენათა მიზეზები სურათებით. 25 კ.
ჩარლზ პარნელი. (ბიოგრაფია). 25 კ.
დ. კლდიაშვილი. მოთხრობანი. 30 კ.
პ. სურგულაძე. ეროვნული ენა. 15 კ.
ი. ბელოკონსკი. ერობა და თვითმართველობა. 10 კ.
დ. დეფო. რობინზონ კრუზე. 30 კ.
დ. კარიჭაშვილი. წიგნის ისტ. 20 კ.
ჰენრიკ სენკევიჩი. ბარტექ ძლევამოსილი. 20 კ.
ნ. რუბაკინი. ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სურათებით. 50 კ.
ა. ივანოვი. ცა და დედამიწა. 20 კ.
პოლბერი. ბუნების ცოდნა. 25 კ.
ბელიგერის მოგზაურობა სურათ. 30 კ.
ბუნების მოვლენანი. 15 კ.
აზიის მნათობი ინდოელების თქმულება. 10 კ.
ს. ურბანოვსკი. თავადის ქალი, შრომა და ფუფუნება. 60 კ.
ჯოვანიოლი. სპარტაკი, ისტორიული რომანი. 60 კ.

აქვე იყიდება 1905 წლის მოგზაურის ნომრები, თითო ნომერი 3 კაპ., მთელი წლის 2 მანეთი.

ვინც ჩვენს გამოცემებს პარტიით იყიდის დაეთმობათ 30 პროცენტი. ზემოხსენებული წიგნების გაწერა შეიძლება ფას დადებით (ნალოჟ. პლატ).

წიგნის მაღაზიის ადრესი: თფილისი, კიროჩნი ქ., № 7. (Кирочная ул., № 7).

მაღაზიაში მუდამ მოიპოვება მრავალი პოლიტიკურ და ეკონომიურ შინაარსის წიგნები რუსულ და ქართულ ენებზე. აგრეთვე წიგნის მაღაზია კისრულობს პროვინციელ მცხოვრებთათვის ფასდადებით წიგნების გაგზავნას.

წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი იყიდება აგრეთვე შემდეგ ადგილებში:

ქუთაისში, „კოლხიდა“-ს ამხანაგობაში. **ბათუმში**, სპ. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში, **სად**[illegible] **უჯარაში** (ბაქოს გუბ.) ლევან კანკავასთან.

კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

1, **ე. ნინოშვილის** სრული თხზ. მშვენიერი ყდით . . . . მან. 2
2. **ა. ყაზბეგის** სრული თხზ. მშვენიერის ყდით . . . . 3 [illegible]
3, **ია ეკალაძე** 1 წიგნი . . . 1
4, **ხერგეი მესხი** 1 წიგნი . . . 1
5, **უცხო სიტყვათა ლექსიკონი** მშვენიერ ყდით . . . 1 [illegible]
6, **გასაოცარი ამბები** მსოფლიოს ცხოვრებაში . . . [illegible]
7, **ნ. ბარათაშვილის** ლექსები . . [illegible]
8, **მუშათა კითხვა** . . [illegible]
9, **ცა და დედამიწა** ლუნკევიჩის . [illegible]
10, **მწვანე სამეფო** მისივე . . [illegible]
11, **სურამის ციხე** დანიელ ჭონქაძისა . [illegible]
12, **მეცნიერებისთვის წამებულნი** . 1
13, **ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან** ა. წულუკიძისა . . [illegible]
14, **პოლიტიკური ნაწყვეტები** კაუცკისა [illegible]
15, **ისტორიული ნარკვევები** კაუცკისა [illegible]
16, **კაცობრიობის იდეალი** ბებელისა [illegible]
17, „ჩვენი მიზანი“ ლიბკნეხტისა თარგ. პოლ. კალანდაძისა . . [illegible]
18, „პროფესიონალური კავშირი“ შიპპელისა თარგ. კ. ნინიძისა.
19, „როგორ იბრძოდენ გლეხები სიცილიაში“ თარგ. პოლ. კალანდაძისა და სხ.

მაღაზიასთანვე არის
ახლად გახსნილი სტამბა

იღებს და ასრულებს სუფთად და თავის დროზე ყოველივე სასტამბო საქმეს
ადრესი; ელიზავეტის ქუჩა № 17
ადრესი: тифлисъ, К. Тавартклад[illegible]

„პატარა გაზეთი“

წლის დამლევამდე 3 მან.
ცალკე ნომერი 3 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება თფილისში, სა[illegible] ლის ქუჩა, სახლი თავ.-აზ. № 117.

ქუთაისში „კოლხიდის“ სააგენტოში, [illegible] ისყიდება ცალკე ნომრები.

ბათუმში მათეოზ ნიკოლაძის წიგნის მაღაზიაში.

თფილისი, სტამბა კ. თავართქილაძისა, ელიზავეტის ქუჩა, № 17.